

# სასაღხეო გაზეთი


სურათებიანი დამატება

გაზეთის № 236. შაბათი, 19 თებერვალი 1911 წ. დამატების № 41

## გლეხთა განთავისუფლების 50 წლის იუბილე



მ. თელავი. — გლეხთა განთავისუფლების მანიფესტს უკითხავენ  
ხალხს 1864 წ. 19 თებერვალს.



დამთავრებული პორტრეტი.

რომელიც გლეხთა განთავისუფლების დროს ნამესტნიკის საბჭოს წევრად იყო.

იქვე ჩარდახი წამოჭიმულიყო, სადაც სხვა და სხვა იარაღი ელაგა, მეორე მხარეს კარგა მოზრდილი მიწური-გომური და იმის გვერდით მიწურივე ძველებური გვირგვინიანი დარბაზი; ეზოდან შესავალი იყო წნულის კარით გამართულ კარის-ვენახში, სადაც ყავრულით დახურული გძელი ქვიტიკრას მარანი ამართულიყო და თითქოს მიწაში ჩამძვრალს სახლსა და გომურს თავის დიდის თალიანი კარით დასცინიდა: თქვენ რახართ ჩემთან შედარებით: მიწის ქიების მეტი პატრონის გულის ვარდი ვარ და პატივსაცემი. პატრონი მართლაც მეტის პატივით ეპყრობოდა სახედაშე და გულის გამბაღვთებელის შენობას. თუმცა ლაზოს მზრუნველობის თვალი არც ერთს არ აკლდა, ყველაფერი რიგზე, წესზე და კობტად ჰქონდა ოჯახში, შინ თუ გარედ. მრავალ რიცხვოვან ჯალაბობასაც ყველას თავისი შესაფერი საქმე ჰქონდა მიჩენილი და ერთგულად უნდა ეკეთებინა, თუ არ უნდოდა ცოტა გულზვიად ლაზოს რუსხვა დაემსახურებინა.

თითონ ლაზო იქნებოდა სამოც წლამდის მიტანებული, მაგრამ ჰარმაგი, მხნე და გამრჯელი იყო. ყველას სამაგალითოდ ჰქონდა სოფელში მისი მუყაითობა და გამპკრიახობა. ასეთი მხნეობით ისეთი საქონელი — ხარკამეჩი — გაიჩინა, რომ მარტო იმათ ყურება ღირდა ქალაქადაო, იტყოდნენ ხოლმე მეზობლები; ფულითაც არ იყო ნაკლები. რამდენიმე ქილა სულ ქართულ თეთრითა ჰქონდა სავსე; რასაკვირველია, ავთვალს რომ არ ენახა, სადღაც ჰქონდა მიმალული.



1861 წ. 19 თებერვლის მანაფებს კითხულობენ. — სურათი მიახთედოვანსა.


# ჯ ი უ ბ ი ყ ე ა

(ვუძღვნი თანამედროვე ქართველობას).

## I

მაისის მიწურულები იყო. მზე სასამხროთ გადახრილიყო და აღმაცურად ესროდა მწვავე, მაგრამ სანეტარო სხივებს ეზოში მომუშავე ლაზო ირმაშვილს. ამ დილით მოუვიდა ურემი ქალაქის ქირიდან და ორსავე თვლებს ფერსოები სულ გადაღებოდათ. მზრუნველი ლაზო იდგა ეხლა და აღმასივით მჭრელ ნაჯახით ჰკვერცხავდა თვლებს: ერთი უკვე დაეკვერცხნა და მეორესაც ათავებდა; კარგა ფართო კარმიდამო სუფთად იყო მილაგ-მოლაგებული, ცალმხარეზე შეშა-ფიჩხი ეწყო და

აი ეს ყველაფრით შემკული შავწყაროელი გლეხი გახლდათ ყმა და ძონა თავად ჰიქიკოსი, რომელიც იქვე სოფლის განაპირას სცხოვრობდა თავის ციხე-დარბაზში და იქიდან ბრძანებლობდა ყმებზე. ლაზოს გული ამით ჰქონდა დაჩაგრული, რომ ყმა იყო. და მუდამ იმაზე ოცნებობდა, როგორმე თავი გამოესყიდნა ბატონისაგან. მაგრამ ის ჯოჯოხეთი ბატონი ნებას არ აძლევდა, — ასე ეტყუოდა ხოლმე: — რათ მინდა შენი სასყიდელი, როცა შენც და შენი მთელი ავლა-დიდებაც ჩემი ხართ; როცა მინდა გაუნთავისუფლებლივ ავიღებ სასყიდელსაც და შენც ისევ ჩემი ყმა იქნებიო.. აბა რაღა უნდა ეთქვა ამის შემდეგ ლაზოს; რისიღა



იმედი უნდა ჰქონოდა?! აკი იმედ-გადაწყვეტილი მუდამ გულ ჩათხრობილი და გაუღიმარი იყო! მშვენიერი სიმღერების მკოდნე ლაზო, დიდი ხანი იყო აღარავის ენახა მომღერალი და მხიარული!

— რა მაქვს სამხიარულო, — ეტყოდა ხოლმე ლაზო მეზობლებს, როცა ისინი უსაყვედურებდნენ გულ ჩახვეულობას, — მე ვწრომობ, ვწვალობ, ვწავლდობ, ვძენ, თუ რამე შემძლიან და მერე რისთვის?... ბატონისათვის!.. იმას შეუძლიან სულ ერთიანად დამანიავოს, გამცარცვოს, ულუკმაპურად განიშვას; ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ჭირი ის არის, რომ სამართალს ვერსად იპოვი, არავინ გაგიკითხავს, ყველა გეტყვის, ვერა წესი და კანონი... მეც ხომ ადამიანი ვარ, მეც ხომ კაცი ვარ; მე რად უნდა ვიყვე იმისი ყმა, მონა...

ამგვარ მწარე ფიქრებში იყო გართული ლაზო, რომ თავს დაადგა მეზობელი ლეო ყავარჯენით ხელში, იმის კბილის კაცი, მაგრამ ლარიბი და გაცილებით უფრო კი გატეხილი და დაბერებული, —

— გამარჯობა, ლაზო!  
— გაგიმარჯოს, — აიხედა ლაზომ, ერთი ღრმად ამოი-სუნთქა და ნაჯახი დაუშო. —

— ბიჭი! მოგსვლია ჭირიდან, გეტყობა, მაშ იქნება ახალი ამბავი რამე მოიტანა — დაეკითხა ლეო და თითქოს მოსასმენად დაემზადაო, ყავარჯენს მკერდით დაეყრდნო.

— რა ახალი ამბავი, კაცო?  
— რა და, აი ჩვენი საცოდაობისა... რას ამბობენ, არ უნდა გადავარდესო, ბატონ-ყმობა... რა ვი... იქნება ჭალაქში რაიმე გაუგონია მეთქი... უფრო იმიტომ ჩამოველა, გამეგო, ..

— ჰო, როგორ არა, თქო... მოდი ჩამოგსხდეთ ამ კუნძზე...

— მინც რაო, თუ ღმერთი გწამს, გძაგებინე, — ხვეწნით უთხრა ლეომ და თან კუნძზე მიჩმეთ დაეშო ყავარჯენ დაბჯენილი.

ლაზოც გამაგრდა აქვე და ამოიხვრით სთქვა:

— ეჰ, ჩემო ძმაო, ლაპარაკი დიდი ხანია გვესმის და საქმე კი არსადა სჩანს... ცარიელი ლაპარაკი რად გვინდა, რას გვარგია.. ჩვენ კი ისევ სხვისი მონები ვართ, სხვისა ყმები და რა ვიცი...

— მაინც რა გაუგია, კაცო, თქვი და!..

— ჩემ ბიჭს ჰაბუკას ავლაბარში ბაკებში გაუგონია ერთი აღაფისაგან, რომ ამბობენ ხემწიფეს უნდა ყმები გაანთავისუფლოს, მაგრამ ე დაღუპული თავადიშვილები ძანა უარს არიანო, ასე უთქომთ თავადებს, რომ თავებს დავიხოცამთ და ყმებს კი არ გავანთავისუფლებთო...

— აბა რა! რო აღარც ვეთმობით...

— რათ დაგვიტმობენ, როცა მოთალის გულდასავით მზათა ვყევართ, ჭირსა თუ ღზინში; ბატონის ღზინიც ყმისთვის ჭირია და ჭირი ხომ ჭირია და ჭირი...

— ახ, ნეტავიმ დღეს კი შამასწროს ღმერთმა რო ბატონი აღარა მყავდეს, თავისუფალი ვიყო და თუნდ მეორე დღესვე მოგვცდები. ერთი დღე, ერთად ერთი დღე ვიყო თავისუფალი! მწარე გმინვით და გულის სიღრმიდან ამოხეთქილის ოხვრით გაათავა სიტყვა ლაზომ.

— ბევრი მოგვიცდია, ცოტაც შავიცადლოთ და იქნება მართალი გამოდგეს ამდენი მითქმა-მოთქმა...

— რა ვიცი, რა ვიცი... ნეტავი, ნეტავი!... — ვედრებით შეჰხედდა ცას, თითქოს იქიდან ელის ამ წყალობასაო...

ეს სიტყვები რომ გაათავა, გაიხედა და დაინახა მისკენ მომავალი კარგად ნაცნობი ბატონის გზირი.

ლაზოს არ ესიაზონა, ეწყინა, მაგრამ ვეღარაფრის თქმაც ვეღარ მოასწრო, რომ გზირი — პეტრე — მივიდა მათთან.

— გამარჯობა თქვენნი! — და პასუხს აღარ მოუცადა, განაგრძო თითონვე, — უეჭველია, ბატონ-ყმობის გადავარდნაზე ლაპარაკობდით, არა? — და დაუმატა, — ნეტავი როდის იქნება, ნეტავი!..

— ეჰ, ვინ იცის, როდის რა იქნება, პეტრე, — სთქვა ლეომ ხელის ჩაქნევით.

— შენ კაი კაცი ხარ, პეტრე, მაგრამ ბატონი გყავს ჯოჯოხეთით... ამიტომ შენთან ლაპარაკი მაინც საშიშოა მაგ საგანზე... დაგაცდევინებს რასმე, და მერე ჩვენ მოგვდგება; ჩვენ რაზეც ვლაპარაკობდით, ჩვენი საქმეა, მაგრამ შენ რათ გარჯილხარ, უამბო არ იქნება შენი მოსვლა... უთხრა ლაზომ.

— რათა ხარ, კაცო, გოროზი და გულგაუხსნელი... ხო იცი, რომ მე ცუდი არ მინდა არც შენთვის, არც სხვისთვის... მაინც უნდოთ კი მიყურებთ ყველანი... რათა?... მეც თქვენმა ძმა არავარ, მეც ყმა არავარ?

— მართალია, მაგრამ, შენ მაინც ბატონის კარის კაცი ხარ, იმის ხელი და ყური და, აი ამიტომ... შენ საქმე თქვი, საქმე...

— უსამართლოთ მეტყვევი ლაზო, თორემ შენ იცი... კარგი, შენი სიტყვა იყოს... ბატონმა გამოგზავნა შენთან, სტუმრები მომივიდნენ, რუსის აფიცრები არიან, ოცი თუმანი მჭირია და მალე გამომიგზავნო... აი ესეც შენი საქმე...

— მე ვიცოდი, რომ ვერე იქნებოდა... ის საკეთილოდ მე კაცს არ გამომიგზავნის... ფული სადა მაქვს, წადი ვერე მოახსენე ბატონს, — ამბობდა ამას და თან შუბლი უნაოქდებოდა, თვალები უბრწყვინავდა მოწოლილ ჯავრითა და ბრაზით.

გულკეთილი და მშვიდი პეტრე შეწუხდა ამ პასუხის გაგონებაზე. იცოდა რომ ასეთი პასუხი ბატონს ძალიან გაანაწყენებდა და უეჭველია ლაზოს დარბევაც მოჰყვებოდა, ამიტომ რჩევითა და ხვეწნით მიჰმართა:

— ეგეთ პასუხს ნუ გამატან, ღვთის გულისათვის, (ლაზო). თუ მაგდენი არა გაქვს, ნაკლები იყოს, ოღონდ ხელცარიელს ნუ გამისტუმრებ და რა ვიცი... თორე... არ ივარგებს... ღმერთმანი...

— არ ივარგებს, მეც ვიცი... მაგრამ მოთმინების ფილა რომ აივსო! ერთი კვირა არ გასულა, რაც ასი თუმანი დამათვლევინა, საქეიფოდ უნდაო... ეხლა ოციო... ხვალ, ზეგ კიდევ ორმოცი და სამოცი მოუნდება და მე სადა მაქვს მაგდენი... სულ მე, სულ მე... სხვეუი კი ყმები არ არიან, რატომ იმათ კი არ ართმევს? — ცხარობდა წამოქარხლებული ლაზო.

— იმათ თავიანთვინ რა აქვთ, რომ ბატონს რა მისცენ... ბატონი შენთან იმიტომა მგზავნის, რომ ეგულება კიდევ... ნუ გაჰჯიუტლები... ღმერთი, რჯული, საქმეს უფრო წახდენ მაგით...

— ვიცი, რაც იქნება... პატარა აღარა ვარ... დამაწიოკებს, დამარბევს, სხვა რა იქნება... რა უყოთ... მეტი აღარ შამიძლიან, ვეღარ ავიტან; ისევ ძალით წაიღოს, რაც იპოვოს, მე კი ნებით ვერას მივცემ, იმიტომ რომ თვალებიდან ცეცხლი მცვივა, კაცო, როცა ჩემი ოფლით ნაშოვნი ბატონს გადასაყრელად, საქეიფოთ მიაქვ ხოლმე... აღარ შამიძლიან მეტი მოთმენა, აღარა... რაც უნდოდეს, ისაქნას...

კიდევ ბევრი ურჩიეს ლეომაც და პეტრემაც, გული მოებრუნებინა და თავის ნებით მიეცა ფული, ვიდრე ბატონს დაერბია იმისი კოხტა სახლ-კარი, მაგრამ ლაზო თავის ნათქვამი კაცი იყო, რაკი ერთს იტყოდა, ვეღარავინ გადაათქმევინებდა.

პეტრემ რომ ნახა არა გამოვიდოდა რა, წასვლა ამჯობინა. მხოლოდ წასვლის წინ უთხრა:

— ლაზო, თუმცა ეგეთი ჯიუტი კაცი ხარ, ეხლა მეც დავისჯები და არც შენ მოგელის სიკეთე, მაგრამ მაინც ერთი რამ უნდა გითხრა: ბატონმა წლეულ ყოფილ რუსებს გადასცა გასათიბათ და თან ნებაც მისცა, ვის საქონელსაც მოასწროთ სათიბში, მოჰკალითო... აი გაფრთხილება, ბიჭებიც დაარიგე, ფრთხილად იყვენ, საქონელი არ გაგიფუჭონ... აფსუსია შენი საქონელი...

— ვისიც უნდა იყოს, მაინც დაჰხოცავენ?—ჰკითხა ლაზომ.

— ბატონმა ასე უთხრა: გინდა ჩემიც იყოს, ნუ დაჰხოგავთო!.. გაიგე?..

— გაიგე.

— რა ნაირი პირობაა ეგა, მაშ ჩვენ სადღა ოხრობაში უნდა წავიდეთ, თუ კი ყოფილი სხვას გადასცა!..—დალონებით წარმოსთქვა ლუამ ამ ამბის გაგონებაზე.

— იმედი თუ გაქვს, რომ ბატონი შენთვის ზრუნავს..—დაცინვით მიუგო ლაზომ.

— ეხლა კი მეც წავალ—მხრების აჩეჩით ჩაილაპარაკა პეტრემ,—გაბრუნდა და წავიდა!..

ის რომ მოჰშორდათ, ლუამ ვეღარ მოითმინა, რომ არ ესაყვედურნა გაჯიუტება,—ხომ იცი, რა მოგელის და რათ გაჰბედეთო!..

— არა, მე ჩემი ხელით იმას აღარას მივცემ, აღთქმა დავდე... დაე, ამიკლოს, წაიღოს, რაც იპოვოს, მაგრამ ჩემი ხელით, ჩემის ნებით კი აღარ მივცემ. აღარ შემოძლიან მონობა... აღარ შემოძლიან ყმობა... სული მესუთება, თვალთ მიბნელებს, როცა ვგრე მომადგებიან და მუქთად არხეინად ჩემი ნაწევრ-ნადავნი მიაქვთ...

— ძალით რომ წაიღებენ, ის კი კარგია?..

— ის სულ სხვაა... ძალის წინ რაღას გავაწყობ... ყაჩაღებს რას ვუზამ... ძალა აღმართსა ჰხნავს... მე ხომ ჩემის ხელით აღარ ვაძლევ, სვინდისი არხეინად მაქვს... რას იზამ, ამით მაინც ვინუგეშებ თავს... ახ, ყმობის მომგონს არ ეღირსოს ცხოვრება...—გაიქნია ჰალარა თავი და მერე ჩაქინდრა დაღონებულმა, ბოღმა მორყულმა.

— რა გაეწყობა, ძმაო... იქნება ჩვენც გვეღაროს მართლა განთავისუფლება, ცოტაც მოვიცადოთ და მოვითმინოთ...

— მოთმენა, ჩემო ლუავ, მეტი აღარ შემოძლიან... განთავისუფლებას კი, რა ვიცი, მოვესწრები, თუ ვერა... თუ მომასწრო ღმერთმა, ხომ კარგი და თუ ვერ მოვესწარი მე თითონ, ჩემ შვილს ანდერძად დაუგდებ, მოვიდეს და მკვდარს საფლავში მაინც ჩამომძახოს, მახაროს, როცა ის სანატრელი დღე დადგება...

— მართალი ხარ, ლაზო, მართალი... მაგრამ რას იზამ, რასა!.. ეჰ, ჩემი წასვლის დროც არი... ამოხვნეშით სთქვა ლუამ და ჰრიალით წამოიწია ასადგომად.

— მე კიდევ თადარიგს დავიჭერ ბატონის მოსვლამდის. ხო ვიცი, რომ არ შემარჩენს ჯარის თქმას...—ლაზოც წამოდგა.

ლუამ ლაზოს გამარჯვება უსურვა და გასწია შინსკენ. ლაზო შევიდა დარბაზში, საცა რამ ეგულებოდა ძვირფასი ნივთები, თუ თეთრი, ზოგი სად მიმალა, ზოგი სად, უშიშარს და მიუვალ ადგილს; ფულით სავსე ორი ქილა გადიტანა ვენახში და მარანთან, სადღაც მიაფარა, იმის შინაურებმაც კი არ იცოდნენ, რადგანაც იმ დროს შინ არავინ იყო. მხოლოდ ცოტაოდენი ფული კი გაუშვა სკივრში, რომ ეპოვნათ დამრბევლებს და გული იმით მოეოხებინათ.

II

მზე შუბის ტაროზე დავიდა. ნელი სიო უბერავდა და

სიცხისაგან ვახურებულს მიწას, თუ მცენარეს, პირუტყვს თუ აღამიანს, მაგრილებელ ნექტარად ჰხედებოდა. ის იყო ლაზომ ნივთების მალვა გაათავა, გამოვიდა ისევ ეზოში და გულში რაღამაც უსიამოვნოდ გაჰკენწლა, დაინახა, რომ იმისკენ მოდიოდა ბატონის მოურავი ათი ბიჭით. მაშინვე მიჰხვდა, რაც ამბავი იყო. არ გასულა ხუთი წუთი, ისინიც მოუახლოვდნენ ლაზოს ეზოს, თითონ ბატონმაც ცხენი მოაქანა და მიუხდა ლაზოს. ლაზო რომ მარჯვედ არ მოქცეულიყო და დროზედ არ ჩამოსცლოდა, ცხენი გაიტანდა.

ბატონმა ჰკვიკომ, ასე ორმოცი წლის კაცმა, შესახედავად წარმოსადგება და ლამაზმა, მაგრამ გულღრძობ და მკაცრმა—შეუტია ლაზოს მათრახის მოღერებიო:

— შენ როგორ გაბედე და უარი შემოსთვალე ჩემს ბრძანებაზე?! არ იცი, რომ მტვერს ავაღენ! ოჯახს აგიოხრებ, თუ კი მოვისურვებ! განა არ იცი შენ ეს!

— ბატონო, როგორ არ ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ ფული აღარა მაქვს; რა უყო, საიდან გავაჩანო შე დალოცვილო! ამ ერთი კვირის წინ ხომ მე თითონ მოგართვი ასი თუმანი, აბა რაღა მექნება, რისა და საიდან?.. გლენი კაცი ვარ, ყმა და მონა... მე ხომ თავისუფალი აღამიანი არა ვარ, რომ შენახვის ნება მქონდეს...

— შენ ბევრს ნუ ყბედობ, ქოფაკო! ძალიან კი გენატრება ეგ თავისუფლება, მაგრამ ვერ ეღირსები... შენ მე ვერ მომატყუებ, ფულის მეტი რა ვაქვს, მაგრამ უფრთხილდები... გამოიტა მალე...

— არა მაქვს, ბატონო, შენმა დღევანდლობამ, საიდან მოგართვა!..

— აბა, ბიჭებო, რაკი თავის ნებით არ იძლევა, მაშ ჩვენ მოვნახოთ... რაც ძვირფასი ნივთეულობა ნახოთ, თუ ფული, სულ გამოიტანეთ... მალე!..

გაცა ბძანება ბატონმა და გაწაფული მისი შინაყმანი ეცნენ უპატრონოსავით დაგდებულს ოჯახს...

წამს იქაურობა თავდაყირა დააყენეს, ზოგი ჰურჭელი დაამტვრის განგებ, ზოგი გარედ გადმოყარეს, ბალიშების ბუმბულით მოსდეს იქაურობა... თაროები, წალოები, განჯინები სულ გამოალაგეს და დააცხვეს ფულითა და ნივთების ძებნაში, მაგრამ ვერა იპოვეს რა. ბოლოს სკივრში მიაგნეს რაღდენიმე თუმანს ლაზოსაგან განგებ დარჩენილს და სიხარულით გამოურბენინეს ბატონს.

— აკი არა მაქვსო, შე მატყუარა ქოფაკო, ეს რა არა... დაცინვით და გამოჯავრებით უთხრა ბატონმა ლაზოს.

— რა ვი... აღბათ ჩემს ჯალაბს თუ ჰქონდა შენახული... მე არ ვიციოდი, თორემ...

— თორემ რაო?

— მოგართმევდით მე თითონ... ამაობაში ბიჭებმა ერთი დიდი ბოხჩა ტანისამოსი გაავსეს, შეკრეს და თავიანთის ცალკე მიდეს; ბატონს კი მოახსენეს, რომ ვეღარც სხვა ფული იპოვეს და ვეღარც რამ ძვირფასი ნივთეულობა.

— ფულიც ცოტაა, ლაზო, ხუთი თუმანი რას მეყოფა!.. მაგრამ კარგი, ამ ხანად იოლად წავალ, შენც გაპატიო ამ ფულმა... მეტს აღარ მოგთხოვ ემ საათში, მაგრამ დანარჩენი ორი დღის შემდეგ უმეკველად უნდა მიმოგნო და მომიტანო... თორემ ასე იაფად ვეღარ გადამირჩები, იცოდე... ეხლა თუ სახლი აგიქოთეს და ცოტაოდენი რაღაც მჭერები გამოიტანეს ბიჭებმა, მაშინ სულ გაგაგლახავებ...—მუქარით უთხრა თავადმა.

— მერე შენთვის უფრო ცუდი არ იქნება, ბატონო!.. გლახა რითი-ღა გემსახურება...

— ტყავს გავაძრობ და გამოვიყენებ რაშიმე, შენ არ...

ხეინად იყავ...—გააბრუნა ცხენი და გასწია გამარჯვებულმა ბატონმა, ბიჭებსაც გადმოსძახა, წასულიყვნენ...

ბიჭებიც წავიდნენ...

ლაზო იღგა გაშტერებული ეზოში და ვერ გამოკრევეულიყო, რა თქო იმ კაცმა, რომელსაც ის ამ ერთი წუთის წინ ბატონს ეძახდა...

— ყავს გაგადრობო... გაგაგლახებო... გამალარბებს?... მე თითონ ვაგვლაზავდები, ჩემი ნებით, ოღონდ ეგ კაცი ჩემი ბატონი ნუ იქნება, ოღონდ თავისუფალი ვიყო და რაც მებაღია, მივცემ... ახ, ახ...

წავიდა ფიქრში. ფიქრობდა იმას, თუ რა ქნას, როგორ მოექცეს ბატონს ამას იქით; დამონება უფრო, სველა მისი ბძანების ასრულება არ ეგუებოდა ლაზოს გუნებას; იმასა სწადდა, რომ ბატონიც ტანჯულიყო, მაგრამ ეს მის ხელთ არ იყო; მაშ რა ექნა, იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა, რომ რაც შეიძლება მეტი უსიამოვნება მიაყენოს, თუ კი შეიძლება აზარალოს და ბატონი გულზე გახეთქოს... მერე თითონ? თითონაც ხომ განადგურდება, ბატონი სიკეთეს არ დააყრის... ეჰ, გრდ მკვდარი, გინდ შინ მიუსვლელო, ნათქვამია...

უცებ მოაგონდა პეტრეს ნათქვამი რუსების პირობის შესახებ, რომ ყველა საქონელს მოჰკლავენ, რომელიც მათ სათიბში გადავაო და გულში სასიამოვნო გრძობამ და თავში რაღაც აზრმა გაუელვა.

სახე ცოტა დაუშვიდდა.

მაგრამ უცებ ყვირაღმა და წიოკობამ გამოიყვანა ამ გარინდებულ მდგომარეობიდან.

მისი ჯალაბი მოსულიყო გოკო-ბიჭებით და არეულობა რომ ენახა სახლში, დაეწყო წივილ-კივილი.

— რა იყო, რა მოხდა კაცო, მტერმა თუ აგვიკლო, ეს რა უბედურებაა?... ბატონი იქნებოდა აღბად, სხვა ვინ გაბედავდა, ის ჩვენი სისხლის მსმელი, — ყვიროდა დედა-კაცი.

— არც მტერმა, არც მოყვარემ... ყაჩაღები იყვნენ და გაგვცარცვენ... ყაჩაღები, დედა-კაცო... რა უყოთ...

მწარედ ჩაილაპარაკა ლაზომ და მზემაც უკანასკნელი თავისი სხივი ჩაიკრიფა სერს იქით, თიქოს ამათ ვაივავლახს აღარა სერს უყუროსო.

III

გარიჟრაჟი იყო. ცას ახლად ჰქონდა შუქი შეპარებული. მშვენიერად გრილოდა. უკდავება იყო სუფთა და ყვავილთა სუნით შეზავებულ ჰაერის სუნთქვა. თავად ჭიჭიკოს რაღაც ადრე გამოედვიდა ჩვეულებრივზე და აივანზე გამოვიდა ამ ნეტარებით დასატკობად. გუშინდელი ლაზოს დარბევა აღარც კი ახსოვდა, ან სად შეეძლო დახსოვება ყველაფრისა, რასაც დღეს ის ყმებს აყენებდა! შებრალების და სამართლიანობის გრძობა მას დახშული ჰქონდა. მხოლოდ იმას-ღა უიქრობდა, როგორ გამოერთმია ყმისთვის მეტი ღალა, მეტი კულუხი, თუ სხვა გადასახადი, რომ თავისი მეტის-მეტი ხარჯები ქეიფისა და ფლანგვისა დაეკმაყოფილებინა.

გუშინდელი ხუთი თუმანი ორიოდღე დღეს ეყოფოდა, მაგრამ მერე კი საჭირო იქნებოდა ახალი წყარო ფულისა. წყაროდ კი მას ლაზო ეგულებოდა, იმიტომ რომ დანარჩენ ყმებს დიდი ხანია ნიათი გამოაცალა და გააგლახავა. სხვებისაგან ფულის იმედი აღარა ჰქონდა, მხოლოდ ლაზოს-ღა აგულებდა და აკი წურბელასავით სწოვდა სისხლს!

გაიარ-გამოიარა თავადმა აივანზე სიამოვნებით; გაიზმორა, გაიქიმა მოზვერივით და უცებ ყურები ცქვიტა, ხოდაბუნდნად მოესმა მშვენიერი წკრიალა ოროველა! ესია-მოვნა, გულზე მალამოდ მოეცხო.

იფიქრა: ეს ჩემი გუთნიდან არის, ეს ხმა გუთნიდელა ვანოს ხმაა... მშვენიერი სიმღერა იცის წყეულმა... გემრიელი... მომხიბლავი...—თან სიამოვნებით პირს ატკბარუნებდა;—ყოჩად ბიჭო, რა აღრიან შეუზამა გუთანი და ჰხნავენ!..

აღარ გაათავა ფიქრი, ჩამოვიდა ძირს და პარდა-პირ გასწია ხოდაბუნისკენ, სადაც გუთანი ეგულებოდა.

ახლო იყო სახნავი; ზვრის ბოლოზე ეკრა და ზვარი ხომ ეზოკურის გაგრძელება იყო!

მივიდა ხოდაბუნში თავიდი, ბინდ-ბუნდში ძლივს გაარჩია გუთანი მიწის თავში. მაგრამ თქვენს მტერს, რომ იმას ელდა ეცა. რის ხენა, რის გუთანი! გუთნადელას შეუწყვია ფეხები ფთაზე, შეჰყურებს მტრედის ფრად შეღებილს ცას და წამოწოლილი არაკრავებს ოროველას...

თქვენ ლხენად მოგეცეთ, რომ ჩვენი თავიდი გაცეცხლდა, გააღმასდა!.. წამოავლო ხელი ჩექს, რომელიც იქვე ღირლიტკობთან ეგდო, მიჰვარდა იმით გუთნიდელას და ერთი-ათე ორი, ერთი თუ ორი, დაუშინა საშინლად თავსა და პირში, თან ისე უანძღავდა, რომ ყურო ნუ გაიგონებ! საბრალო გუთნიდელამ ბოჯის მოხდაც კი ვერ მოასწრო, ხმა ამოუღებლივ იღგა და იტანდა იმ ცემას. გაქცევას როგორ გაჰბედავდა!

— ჰაი, შე ასეთ ისეთო!—ყვიროდა ჭიჭიკო, —შენ იმიტომ ამოხდი ოროველას, რო მე მოგეტყუებინე; შენი ხმა შინ გამეგონა და მგონებოდა, რომ ნუ შეაობენ მეთქი.. აბა ეხლა ნახე, მოტყუება როგორ მოგიხდება...—და თან სცემდა.

— არა ბატონო, ჯერ ხარი არ მოურეკიათ და იმათ მოლოდინში, არ დამეძინოს მეთქი, გულს ვაყოლებდი... მაბატიე, შენი ჭირიმე... ნუ მამკლამ... შენ მუხლებს ვენაცვალე... მეყოფა, ბატონო, მეყოფა...—ძლივს მოახერხა ამის თქმა და დაეცა გულშელონებული თავ-გაჩეხილი.

— ეგრე გინდა, შე მატყუარავ!.. ნიშნის ვებით წარმოსთქვა თავადმა და ხელი ააღო.

ზედ დატანებაზე მორეკეს კიდევ გუთნის ხარი მეხრებმა. ახლა იმათ ეცა ბატონი და დაუწყო ლანძღვა.

— სადა ხართ აქამდის, თქვე პირუტყვებო, თქვენა... ასე გვიან უნდა შეებათ გუთანი!.. სულ ეგრე თუ ირჯებით?..

ბიჭებმა ბატონი რომ იქა ნახეს, ძალიან შეკრთნენ; აღარ იცოდნენ, რა ეთქვათ, რით გაემართლებინათ თავი. მოიბუზნენ, მოიკრუნჩხნენ შიშით. იცოდნენ ბატონის მკაცრი ხასიათი და შეუზარალებლობა.

მერე ერთმა გაბედა და მოახსენა:

— ბატონო, გვაბატიე, დავიგვიანეთ... მაგრამ იმიტომ დავიგვიანეთ, რომ ხარი დავკარგეთ და იმას დავეძებდით აქამდის...

— რომელი ხარი? ჰკითხა ბატონმა.

— თქვენი... თქვენი...—ბიჭს ენა დაება, ველარ ასახელებდა გარკვევით.

— რას მიჰქარავ, სულ ჩემები არ არიან!..—შეუტია თავადმა.

— თქვენი... ღვინია ხარი...

— რაო?!..—შეძრიალა ჭიჭიკომ სახარლად, —გეგონებოდათ ქვეყანა დანგრეულა და იმასა წუხსო...

— მერე, იზოვეთ?..

პასუხი ვეღარავინ გასცა.

თავიდი მიჰხვდა, რაც ამბავი იყო; გაიგო, რომ მისი საყვარელი და თვალის ჩინი ღვინია ხარი დაკარგულა და ვეღარ უპოვნიათ. ეს მისთვის ისეთი საშინელი სასჯელი იყო, რომ უმეტესს კაცი ვერ მოუგონებდა; განა თუ შვი-

ლის დაკარგვაზე ნაკლებ საწყენი იყო!.. დიდი, წითელი ლამაზი ხარი შვილივით უყვარდა თავადს ჭიჭიკოს და ღრმა-დაც ჩასწვდა მისი დაკარგვა.

გულ-დაკოდილს ამ ამბით დაავიწყდა ბიჭების მაშინვე დასჯა, გულ შედონებულს კაცსაც მიანება თავი და გამოეშურა შინისკენა. აქ მთელი სახლი მსწრაფლად ფეხზე დააყენა. ყველას გააგებინა, საქმე რაშაც იყო და ბიჭები გაგზავნა ახლო-მახლო ქალებში, თუ ტყეში საძებნელად.

თითონაც ვეღარ მოისვენა სახლში, შეჯდა ცხენზე, გაიყოლია ორი მხლებელი და წავიდა ხარის საძებნელად. ბევრი იარა, მთლად შემოიარა ახლო-მახლო სოფლები, მინდვრები... კითხვითაც ყველას ჰკითხავდა, ვისაც კი შეჰხედებოდა, მაგრამ კვალს ვერ მიაგნო.

მერე იმ მხარეზე დიდმა და პატარამ—ყველამ იცოდა თუ თავად ჭიჭიკოს როგორ უყვარდა თავისი ღვინია ხარი! მთელი ღღე გავიდა ამ ძებნაში. რაკი ვეღარა გაიგორა, საღამოთი გამობრუნდა შინისკენ დაღონებულს და დაღლილ-დაქანცულს. მცირეოდენი იმედი კი ჰქონდა გულში, იქნება ბიჭებმა მაინც იპოვეს საღმე და შინ დამახვედრონო.

მიუახლოვდა თავის საბძანებელს. ყორღლზედ მიდის ბოროტ ფიქრებში გართული ბატონი, ფიქრობს თუ როგორ დასაჯოს იმ ხარის დამკარგავი ბიჭები.

ამ დროს წინ გადაეღობა რუსის ორი აფიცერი და მიიწვიეს თავისთან კარავში დასასვენებლად. თავადი ჯერ კი უარზე შედგა, მაგრამ მერე დასთანხმდა და გაჰყვა.

რუსებს დაეწყოთ ყორღლის თიბვა და ბლომა სალდათები ირეოდნენ სათიბში.

თავადი ჩამოხტა ცხენიდან, მხლებლებმა ჩამოართვეს; აფიცერმა მიიპატიჟა კარავთან. დაუდგეს სამგზავრო სკამი და თავადიც გამოიჭიმა.

— თავადო, სად გივლიათ, რაო საქმეზე ბრძანებულხარ?—ჰკითხა აფიცერმა.

— არაფერი, ცოტა საქმე მქონდა, მაგრამ ძალიან კი დავიღალე,—უპასუხა თავადმა.

— უეჭველია, მოგწივდებოდათ კიდევ, არა თავადლო?—თავაზიანად შეეკითხა მეორე აფიცერი.

— დიახ, თითქმის რომ მშინ კიდევ.

— მაშ ნება გვიბოძე გაგმასპინძლდეთ, თქვენო ბრწყინვალეებო, ისეთი ხორცი გვაქვს, რომ ლუკმა აბაზი ღირს, გარწმუნებთ...

— ეჰ, თქვენ ძველი ხორცი ვეძებთ, საღიდათური... —გაეხმაყრა თავადი.

— სრულებითაც არა, ახალ-ახალი, ნორჩი, მსუქანი და გემრიელი! აბა ნახეთ და მაშინა ბძანეთ, კარგია თუ არა...—სთქვა ეს აფიცერმა და თან ბძანება მისცა სალდათს, მოერთმიათ თავადისთვის ხორციც და სხვა სანოვაგაც.

მართლაც მოიტანეს მშვენიერი მოხარული ხორცი ისეთი, რომ უკეთესი ჩვენ თავადს შინაც იშვიათად უნახავს. გაუკვირდა და ჰკითხა!

— თქვენ საიდან იშოვეთ ასეთი ხორციო?

— თქვენი მოწყალეობა გახლავთ, თქვენო ბრწყინვალეებო!..

— როგორ თუ ჩემი?.. გაიოცა თავადმა.

— ისე, თქვენ ხომ ნება მოგვეცით, რაც საქონელი შემოვიდეს სათიბში, დახოკეთო!.. აი ეს ხარი გადმოსულიყო და მოვკალით...

— წუხილის?— შეშინებულმა იკითხა თავადმა.

— დიახ, წუხელის—უპასუხა პირველმა აფიცერმა.

— თუ შეიძლებოდა, ტყავი მაჩვენეთ...—და მოუთ-

მენლათ წამოდგა ფეხზე თავადი.

— ემ საათში... ეი, სილორ, გამოიტანე ხარის ტყავი და აქ გაშალე...

გამოიტანა სალდათმა ტყავი და გაშალა თავადის წინ.

— ვაიმე ჩემო ღვინია!—შემოიკრა თავში ხელი თავადმა ჭიჭიკომ და დაიწყო კვითინი.

განტრეხილი და განცვიფრებული აფიცრები და სალდათები შეჰყურებდნენ მათს ბრწყინვალეობას და არ ესმოდათ მისი გლოვის წიხეზი.

ბოლოს გაბედა ერთმა აფიცერმა და ჰკითხა:

— რა იყო, თავადო, რაზე სწუხართ?..

— ეს ჩემი საყვარელი ხარია, ვილასაც მტრობით შემოუგდია თქვენთან სათიბში, რომ თქვენ ეგ მოგეკლათ; და კიდევ აღსრულებია გულის წადილი; მე თითონ მაგის საძებნელად დავდიოდი მთელი ღღე და ბიჭები კიდევ სხვაგანა მყავს გაგზავნილი საძებნელად...—ძლივს-ლა მოახერხა ამის თქმა თავადმა; ხორციარც კი უნახავს გემოთი, შეჯდა ცხენზე და წამოვიდა შინისკენ.

გხაზე სულ იმის ფიქრში იყო თუ, ვინ იქნებოდა იმის ჩამდენი, ვინ გაუბედავდა ასეთს ზიანს ბატონს? ბევრი ფიქრის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდის, რომ თუ უზამდა ამას, ისევ ლაზო ირმაშვილი, სხვა ყმა ვერც კი იფიქრებდა ასე ის კადნიერებას, ის კი,—ის სულ სხვანაირი კაცი... კაცი კი არა ყმაა, ყმა!..

მაშ აბა ნახოს ბატონის სუსხი!

IV.

მთელი ერთი კვირა ჰყავდა ბატონს ლაზო საქათმეში დამწყვედული. ისე იყო გაჯავრებული და გულმოსული ლაზოზე თავადი ჭიჭიკო, რომ კოშკშიაც კი არ აღირსა დამწყვედვა, საცა სხვა შემცოდებებს გაუჩენდა ხოლმე დრიებით ბინას.

ლაზოც მეტის-მეტად დამცირებულად სთვლიდა თავს, რომ მას ასეთი საპყრობილე მიუჩინეს. აქამდის თუ გულძვირად იყო ბატონზე, ამის შემდეგ მასთან ლაპარაკიც კი ეზიზღებოდა.

ბატონი ამ კვირის განმავლობაში ბევრჯერ შეეცადა, გამოეტეხნა ლაზო, ეთქმევინებინა სიმართლე ღვინია ხარის შესახებ; აწვალებდა, სტანჯავდა, ხან მისხარად ააგდებინებდა შინა ყმათ, ცარიელ პურსა და წყალზე ჰყვანდა ამდენს ხანს, მაგრამ ლაზო გაკერპებულიყო, პასუხსაც არ აღირსებდა ხოლმე ბატონს, თითქოს დამუნჯებულაო. თავადს ეს უფრო აბრაზებდა და აგიტებდა, რომ იმის ყმას მასთან ლაპარაკიც კი არ უნდოდა.

ბოლოს მოეწყინა ასე ყმის „განებივრება“ და საქმის გათავება მოისურვა.


ერთს საღამოს თავადი ჭიჭიკო დაუდაბუდიანად დასტუმრებით გამობძანებულიყო მოსასვენებლად გალავანს გარედ მწვანეზე ფართოდ გიდაშოილ იფნების ჩრდილ ქვეშ, ლაზლანდარობდნენ და თან სიამოვნებით მოელოდნენ მომავალს სანახაობას; ეცოდნენ, რომ ლაზო უნდა გაესამართლებინა ბატონს.

ბატონმა ბიჭებს უბძანა, ლაზო გამოეყვანათ საპყრობილიდან და იმასთან მოეყვანათ.

არ გასულა ხუთი წუთი და ორმა ბიჭმა მოიყვანა ლაზო ბატონის წინ.

ლაზო კი სანახავი არ იყო; უწმინდურს ადგილას ყოფნას თავისი დალი დაესო. მოუპარსავი წვერი გაჰბურძგნოდა, თმა დაუვარცხნავი და აწეწილი, საცმელი მოსვრილი ჰქონდა, სახე ჩაჰყვითლებოდა და უფრო დაჰნაოკებოდა, გულის სიამაყე თვლებზე და სიარულზე-ლა ეტყობოდა.

მოვიდა გოროზი ყმა და ჯიქად გამოიჭიმა ჩრდილში გა-



დაწოლილ ბატონის მოშორებით, მაგრამ ზედ კი არ შეუ-  
ხედნია, სოფლისკენ გაიყურებოდა.

— აბა, ლაზო. რაც იყო, იყო... უნდა გაგანთავისუფ-  
ლო და რას იტყვი? მიბატონებია შენი დანაშაული. — დაიწყო  
ბატონმა თითქოს დაცინვით და მასხრობით.

ყველა იქ მყოფთ გაუკვირდათ თავადის ასეთი გულ-კე-  
თილობა; ზოგს კიდევ ეწყინა, რომ სეირის ნახვას ელოდდა  
და ეხლა იმედი უცრუდებოდა. კარგად ვერ გაიგეს ამ სი-  
ტყვეობის მნიშვნელობა და გაოცებულნი შეჭყურებდნენ ბა-  
ტონს.

ლაზო კი ჩუმად იდგა, თითქოს იმას არ ეხებოდა ეს სიტ-  
ყვებით.

— ჰა, რას გასჩუმებულხარ, პასუხი მომეცი და! — გაუ-  
შეორა ბატონმა ცოტა მკაცრად, — რას იტყვი?..

— რა უნდა მოგახსენო, გამანთავისუფლებ და მეც წა-  
ვალ ჩემთვის შინისკენ.

— მეტი არაფერი, შე უმადურო?..

— მეტი რაღა, ბატონო? — თავის მხრივ შეეკითხა დაღ-  
ლილივით, ხმა დახლეჩილი ლაზო.

— რა და ანაირს წყალობაზე, მადლობა ვეღარ მოგი-  
ხერხებია? — ჩაურთო მოურავმა, რომელიც ამ ლაპარაკის და-  
წყებისას მოვიდა და ბატონის მხარეს ჩრდილში იჯდა.

— რა წყალობაზე უთხრა მადლობა? — გაიოცა ლაზომ.

— რომ განთავისუფლებს.

— თუ იმაზე რომ მთელი კვირა საქათმეში ვიყავი გა-  
მომწყვდეული, ხმელს პურსა და წყალზე, ქათმების სკლინ-  
ტებში ვიწეკი და ქათმისავე ტიღმა ლამის შემეჭამოს. ამ წყა-  
ლობაზე დიდი მადლობა მომიხსენებია, თუ მიიღებს. — და  
ლაზომ სიტყვის გათავება ვერ მოასწრო, რომ ბატონი ელ-  
ვასავით წამოიჭრა ფეხზე, მივარდა ლაზოსთან და მიახალა  
შიგ პირში:

— ჰო და თუნდ მაგ წყალობისთვისაც, შე ქოფაკო;  
შენთვის ეგ წყალობა არა გგონია? როგორ? ჩემი ღვინა ხა-  
რის მოკვლისთვის შენ კი სიკვდილის ღირსი არ იყავი! მაგ-  
რამ მე მარტო საქათმეში დაგამწყვდიე, შე უმადურო, ძა-  
ღლო შენა.

— აკი მადლობას გწირავ, ბატონო, მეტი რაღა ვქნა! —  
კიდევ გაუმეორა თავის დაკვირვით ლაზომ.

ეს კი ვეღარ აიტანა ბატონმა. აენტო, გაიქნია და კაი  
შეკახე ალიყური სტაკი და ლაზოს ლოყაში.

— აი ეგეთს მადლობას ასეთი პასუხი ეკადრება, შე ძა-  
ღლო, ძაღლის შობილო!.. — ლაზო წაბარბაცდაკი, მაგრამ  
თავი შეიკავა, თვალები ცეცხლივით აენტო, გაყვითლებული  
ლოყები გაუაღისფერდა, ტანმა ცახცახი დაუწყო, მუშტე-  
ბი თავისთავად მოეკუმშა და ის იყო, უნდა სძგერებოდა თავის  
ბატონს, მაგრამ ბიჭებმა აქეთ იქიდან გააკავეს და აღარ  
გაუშვეს.

— როგორ, შენ ხელის შემობრუნებასაც მიბედავ, შე-  
არამზადავ და ფეხის კიავ! ემ საათში გაგაქრობ, გაგამტვე-  
რებ... ღრიალებდა ბატონი; მიჰვარდა და ერთი კიდევ  
გააჩტყა.

— აი ესეც მეორე, რომ ჰკვა ისწავლო და მეორეთ  
წინ ფეხი აღარ გადმოსდგა შენი ბატონისკენ... შე ქოქ-  
გასაქრობო...

— ახ, ახ... ე ძაღლებს არ დავექირე, მე ვიცოდი ვინც ის-  
წავლიდა ჰკვას, მაგრამ რა უყო ეხლა!.. — კბილების ღრქია-  
ლით და თვალეში ცრემლ-მორეულმა მიაძახა ბატონს, რო-  
მელიც გიჟივით აქეთ-იქით დარბოდა მოუსვენრობისაგან.

— როგორ, კიდევ პასუხებსაცა ჰბედავ!.. შენ თავი  
ხომ არ მოგძაგებია!.. ემ საათში ანდერძს ავიგებ, შე არ-  
საცხონებელო, ბებერო ძაღლო!.. — კვლავ შემოაღტია ბა-

ტონმა ლაზოს.

— თავი კი არა, ბატონო, თავათ სიკოცხლევც მომ-  
ძაგდა შენითანა ბატონის ხელში... სიკვდილით მაშინებ?...  
ნეტავი აღრე მამკვდარიყავ და შენი სახე კი არ დაენახა ჩემ  
დასაბრძავებელ თვალებს... არა, შე უღმერთო, შე უადამი-  
ანოვ, რა გინდა ჩემგან, რას მაწვალებ, რას  
მაწამებ!.. რაკი ყმა ვარ, ადამიანი აღარა ვარ, თუ რა  
არის!.. მე კი არა მაქვს გული და გონება? მე კი არ მეწყი-  
ნება დაცინვა და დამცირება?... მე კი არ მეტყინება ცეცხლ  
თუ მარტო ეს თქვენთვის — ბატონებისთვისა და ჩვენ ყმე-  
ბი არაფერსა ვგრძნობთ, არაფერი გავგვეგება?!.. ჩვენც ადა-  
მიანები ვართ, ჩვენც კაცები ვართ... ნუ გვხოცავთ უსამარ-  
თლოდ, ნუ გვცარცვავთ წამდაუწყუ... მოამინების ფილა  
ჩვენც ავგვესო... მეტის ატანა აღარ შემძლიან... ძოთმინე-  
ბა ჩვენც წაგვერთო... შენ ერთი უბრალო ხარის გულის-  
თვი, რამდენი ხალხი აწამე და ჰტანჯე... ჩვენ ნუ თუ ერთ  
ხარათ აღარა ვღირვართ!.. შენ რომ იმ ხარის დაკარგვის-  
თვი ეგრე სწუხარ, ჩვენ რომ მთელ საცხოვრებელს წაგვართ-  
მევ ხოლმე, ჩვენ არა გვწყინს, არ გვენანება?... შენ როგორა  
გგონია, ბატონო!.. აი ჩვენც ეგრევე გვწყინს და ვიტანჯე-  
ბით, როგორც შენ ეხლა...

— მაშ შენი ბრაღია ჩემი ღვინა ხარის მოკვლა?...  
თქვი... თქვი... — სიტყვების გაწურვით ჩაეკითხა ბატონი  
ლაზოს, გაუყარა თვალეში თითქოს შექმა უნდაო და თან  
მიუახლოვდა.

ლაზომ თვალი თკალში გაუსწორა და უშიშ-  
რად, მკაფიოდ და ნკვახედ უპასუხა:

— დიახ; მაგრამ ეგ რა არი, ბატონო, ნეტავი მეტი  
შემძლებოდა, დარწმუნებული იყავ, არ დაგზოგავდი!..

— მაშ, შენ ჩემი დიდხნის მტერი ჰყოფილხარ! რატომ  
აქადმის არ ვიცოდი! — ცოტა შეკრთა ბატონი.

— განა შენ, ბატონო, ჩემი მოკეთე იყავი?... შენ არ  
იყავ, ყოველ დღე მარბევდი, მაწიოკებდი, მტანჯავდი და  
ამის სანაცვლოდ შენ ჩემგან კიდევ მოყრობას მ ელოდდი...  
ბავშიე ყოფილხარ...

— მაშ, აი საქმე რაში ყოფილა! — მცირე ჩაფიქრების  
შემდეგ წარმოსთქვა თავადმა და უკებ გასცა ბძანება:

— ჰეი, მოურავო, გამოიტანეთ წკებლები და მოვიდეს  
ოთხი ღონიერი ბიჭა... მალე, მორჩი!..

ლაზო გაფითრდა, ფოთოლივით თრთოლვა დაიწყო,  
მიჰხვდა, ბატონი რასაც უბრებდა. ყველაფრის ატანას ირჩევე-  
და, ოღონდ ნუ გასწყვებავდნენ, მეტადრე სახალხოლ...

აღარ იცოდა, რა ექნა? ეთხოვნა პატემა, ტყუილი  
თავის დამცირება იქნებოდა, არა და — ძაღლიან ეთაკილებო-  
და ამ სიბერის დროს გალახვა... ფიქრობდა და ვერ გადაეწ-  
ყვიტნა... დაინახა, ბიჭებს წკებლები მოჰქონდათ და უნებუ-  
რად წამოსცდა:

— ბატონო, შენი ქირიმე, რითაც გინდა დამსაჯე, აქვე  
თოფი დამეცი და ეგრე კი ნუ შემარცხვენ, ნუ! — და ცრემ-  
ლები წამოსცივდა თვალეებიდან ნაკადულივით.

— ვერ მოგართვეს, ჩემო მოსისხლე მტერო! — გამო-  
ჯავრებით მიახალა ბატონმა, — შენ კარგა უნდა დაგარბილო,  
და მეგრე დასწყნარები, უფრო კაი ყმა იქნები... აბა, წა-  
მოაქციეთ და მიაყოლეთ მაგას...

— ჰეი, ბატონო, ავი კაცი ხარ, მაგრამ ღმერთი გა-  
დაგიხდის... მე კი ჩემი ოჯახის ქირის სანაცვლო ვიყო,  
მაგრამ შენც კი არ შეგარჩება ეგ დროება... იქნება ღმერთმა  
ბძანოს და კუჭი გინებოდეს შენცა და შენს შვილებსაც ამ  
უსამართლობისათვის...

— ჯერ აღრეა, ბატონყმობის გადავარდნა არ იქნება,  
არა, რომ გასწყდეთ! — დაცინვით და ბრაზით სთქვა თავადმა.

— მე მწამს ღმერთი სამართლიანი—სთქვა სასოებით ლაზომ და თან აღაპყრო ზეცას თვალი, თითქო სასიკვდილოდ ემზადებო, —მწამს რომ ქვეყანაზე სიმართლე გაიმარჯვებს, ჩემი შვილი მაინც შეასწრობა თავისუფლებას, ღმერთმა ისინი მაინც ნუ აყუფოს შენს ხელში.

ამ დროს სტაცეს ბიჭებმა ლაზოს ხელი, წამოაწვივნეს ალაგობრივ, გაჰხადეს და მისდგნენ საცემლად.

გაწაფულმა ბიჭებმა დაუზოგველად დაუწყეს ცემა საწყალ ლაზოს. ბატონი უფრო ამხნევებდა მათ. ბოლოს სერიის მაყურებელ სტუმრებსაც და ოჯახობასაც მოეწყინათ ასეთ სასიამოვნო სურათის ყურება და შეეგვეწნენ თავადს, ეკმარებინა დამნაშავესთვის სასჯელი.

მართლაც მოიბრუნა გული სულგრილმა ბატონმა და ბძანება მასცა ბიჭებს, ხელი აეღოთ ცემაზე.

ხელი აიღეს და ახლა უნდა აეყენებინათ, მაგრამ ლაზო უგონოდ ეგდო მიწაზე. რის ვაივავლახით მოაბრუნეს ბიჭებმავე; გზირმა პეტრემ, ლაზოს საცოდავობაზე გულ აჩუყებულმა, ჩოხის სახელოთი ცრემლები მოიწმინდა.

წამოაყენეს, ჩააცვეს რის ყოფით და ბატონმა უბძანა ლაზოს:

— ეხლა შეგიძლიან სახლში წახვიდე, მხოლოდ ხელოცა თუმანი უკლებლივ უნდა გამოძიგზავნო.

მაგრამ ლაზოს აღარც ბატონის ლაპარაკი ესმოდა, ვეღარც იქაურობას არჩევდა. სახე ვასცრეცოდა და უსიკოცხლო თვალები სივრცეში უაზროდ გაიყურებოდნენ თითქოს სანთელს ალი გაჰქრობია და პატრუქი-ლა ბეჭუტავსო. რომ შეატყო ბატონმა ლაზოს ცუდი მდგომარეობა, პეტრეს უბძანა შინამდის გაეცილებინა.

პეტრეც ამოუდგა მხარში და ხელ-მოკიდებულმა წაიყვანა ლაზო, რომელიც მთვრალივით ფეხებს ძლივსდა მიათრევდა და აქეთ-იქით ბარბაცებდა.

— წავიდეს და ზოგი ეხლა მიმტროს, მაგ ქოფაკმა. — სთქვა გულ მოახებულმა თავადმა კიტიკომ, — საცა თავისი თქოს, ჩემიც არ დაავიწყდეს.

ამ დროს მსახურმა ვერცხლის სინით მოართვა საღამოს ჩაი. სხვა და სხვა ნამცხვართ და სტუმარ-მასპინძლიანად გემრიელად შეუდგნენ ჩაის მირთმევას; თითქოს აქ დიდი არა მომხდარარაო, განაგრძობდნენ თავანთ ლაზლანდარობას მზის ჩასვლის შემდეგაც კი კარგა შებინდებამდის.

ლაზოს კი შინ მოსვლის უმალ მისცა საშინელი სიტყე. ყელში რაღაც გამოებერა, მთელი ლამე იწვალა; ყელში ისე წაუჭიოა, რომ ხმას ვეღარ იღებდა, სიტყვას ვეღარ ამოზდა გარკვევით, თუმცა უნდოდა კი რისიღაც თქმა. გათენებისას ლაზო ბოლმამ დააღრჩო.

მას შემდეგ ორიოდ წელიწადი გავიდა. მიტქმა-მოთქმა გამართლდა, ბატონყმობა გადავარდა.

დაბეჩავებულს ყმებს გაუთენდათ სანეტარო დღე, ელირსათ მათაც თავისუფლება, მაგრამ ამ ნეტარებასაც ცრემლით შეხვდნენ საბრალო ყმები; ცალის თვალით თუ მხიარულებდნენ, ცალის თვალით სტიროდნენ; ბატონისაგან თუ განთავისუფლდნენ, მიწა-წყალი ჩამოართვეს.

და, აი, რამ წამს გამოცხადდა ეს სანეტარო ამბავი, ლაზოს შვილმა მოიგონა ანდერძი, რომელიც მას არა ერთხელ გაეგონა თავის მამისაგან — თუ ბატონყმობის გადავარდნის დროს მკვდარი ვიყო, პოდი და საფლავში ჩამომძახე, მახარე, ეგ სანატრელი ამბავი და იქაც კი გავიხარებო.

მართლაც წავიდა ლაზოს საფლავზე მისი შვილი ქაბუკა; მივიდა, მუხლი მოიყარა, ხელებით საფლავის მიწას დაეყრდნო და ისე ჩასძახა:

— მამი, მიხარებია, ბატონყმობა გადავარდა, გაიხარე შენც მაგ 'მაგ საფლავში... ჩვენი სისხლის მსმელი კიტიკო ჩვენი ბატონი აღარ არი!.. მაგრამ, მამილო, ჩვენი ზოდანუბებიც და ვენახებიც ჩამოგვართვეს და სულ ბატონს მიაკუთვნეს... ჩვენ უმიწოთ და უწყლოთ დაგვყარეს... გლახები-ლა ვიქნებით, მამილო, თავისუფალი გლახები!..

ხალხში ამბობენ: ამდროს ქაბუკამ საფლავიდან ხმას ყური მოჰკრა, რომელიც მას ეუბნებოდა: გმადლობ განხარებისთვის შვილო; იცოდე, თავისუფალი ღარიბი სჯობია მდიდარს მონას, თქვენც გამაგრდით გაჭირვებაში და ყველაფერს მოეწვეითო...

შემკრთალი, მაგრამ გამხნეებული ქაბუკა დაეწო შინისკენ ახალი ცხოვრების მოსაწყობად.

დ. ნახუცრიშვილი.



ძველი ბატონი.

ახალი ბატონი.